

585
1961/2



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები



585/2

№ 18 (141)

30 ივნისი

1961 წელი

უ ი ნ ა რ ს ი

26

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

- 275. სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ვანის რესპუბლიკას შორის.
- 276. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თევზჭერის თაობაზე საბჭოთა კავშირ-ინგლისის შეთანხმების დენონსირების შესახებ.
- 277. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „კიევის დაცვისათვის“ მედლის დაწესების შესახებ.
- 278. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით პატიმრობის აღილებაში რევიმის ბოროტ დამრღვევთა მიმართ სასჯელის ზომების შემსუბუქების არგამოყენების შესახებ.
- 279. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 28 მუხლში დამატების შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

- 280. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ორგზის სოციალისტური შრომის გმირის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ლენინის ორდენითა და „ნამგალი და უროს“ მესამე ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ.
- 281. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ კიევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 282. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ა. მ. დებორინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 283. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის პ. ა. როტმისტროვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

284. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ინჟინერ-კაპიტან-ლეიტენანტის ვ. ა. ლომაქინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ
285. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.
286. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სკულპტორ ი. ი. მიკენასისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
287. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.
288. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

ბანაოვილება მისამი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრენენეს რწმუნების სიგელები გადასცა ინდოეთის რესპუბლიკის სვანგებო და სრულფუნქციონირება ელჩმა სუბიმალ დატა.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ბანაოვილება პირმელი

289. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახალხო მსაჯულების, საზოგადოებრივი ბრალმძებლებისა და საზოგადოებრივი დამცველების სასამართლოში მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის შესახებ
290. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 ივნისის დადგენილების შესახებ „იმ ღონისძიებათა თაობაზე, რაც დაკავშირებულია მოლდავეთის სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან“.
291. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 ივნისის დადგენილების შესახებ „იმ ღონისძიებათა თაობაზე, რაც დაკავშირებულია სომხეთის სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან“.
292. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჭავის რაიონის სოფლების თხელას და სინთბადანის გაუქმების შესახებ.
293. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ისლარის ორჯონიკიძის სადაბო საბჭოსათვის მიკუთვნების შესახებ.
294. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გურჯაანის რაიონის სოფელ მუჟუზნის ახაშნის სასოფლო საბჭოსათვის მიკუთვნების შესახებ.
295. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქარელის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

ბანაოვილება მემორა

296. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
297. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანაოვილება მისამი

საინფორმაციო ცნობა.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

სავაჭრო შეთანხმება

275 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და განის
რესპუბლიკას შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და განის
რესპუბლიკის მთავრობა, აღფრთოვანებულნი სურვილით განავითარონ და გა-
ნამტყიცონ სავაჭრო ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის თანასწორობისა და
ურთიერთსარგებლობის საფუძველზე, შეთანხმდნენ ქვემოთყვანილზე:

მუხლი 1

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და განის რესპუბლი-
კას შორის ვაჭრობისათვის ხელისშეწყობისა და მისი გაადვილების მიზნით შე-
თანხმების დამდები ორივე მხარე შეუქმნის ერთმანეთს უმეტესი მფარველობით
მოსარგებლე ერის რეჟიმს ყველაფერში, რაც ეხება ვაჭრობას ორივე ქვეყანას
შორის. უმეტესი მფარველობით მოსარგებლე ერის რეჟიმი გამოყენებული იქ-
ნება, კერძოდ, საქონლის შემოზიდვასთან ან გაზიდვასთან დაკავშირებულ ბა-
ჟისა და სხვა გადასახადებისა და გამოსაღებების მიმართ, აღნიშნული ბაჟისა,
გადასახადებებისა და გამოსაღებების გადახდევინებების ხერხების მიმართ,
აგრეთვე იმ წესებისა და ფორმალბათა მიმართ, რომლებსაც იყენებენ საქონ-
ლის საბაჟო დამუშავების დროს.

ამ მუხლის დადგენილებანი არ ვრცელდება:

ა) საქონელზე, რომელიც შემოიზიდება სსრ კავშირიდან, მაგრამ წარმო-
შობილია ისეთი მესამე სახელმწიფოს ტერიტორიიდან, რომელსაც არ აქვს
მინიჭებული განის რესპუბლიკაში უმეტესი მფარველობით მოსარგებლე ერი
რეჟიმი, აგრეთვე საქონელზე, რომელიც შემოიზიდება განის რესპუბლიკიდან,
მაგრამ წარმოშობილია ისეთი მესამე ქვეყნის ტერიტორიიდან, რომელსაც არ
აქვს მინიჭებული სსრ კავშირში უმეტესი მფარველობით მოსარგებლე ერის
რეჟიმი;

ბ) უპირატესობაზე, რომელიც შეთანხმების დამდებ ერთ-ერთი სახელმწი-
ფოს მიერ მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მომავალში მის მეზობელ ქვეყნებს
საზღვრისპირა ვაჭრობის გაადვილების მიზნით;

გ) უპირატესობაზე, რაც გამომდინარეობს საბაჟო კავშირიდან, რომელიც
დადებულია შეთანხმების დამდები ერთ-ერთი სახელმწიფოს მიერ, ან
დაიდოს მომავალში.



საქონლის ექსპორტი სსრ კავშირიდან განის რესპუბლიკაში და განის რესპუბლიკიდან სსრ კავშირში იწარმოებს „ა“ და „ბ“ სიების თანახმად, რომლებიც დართული აქვს ამ შეთანხმებას.

აღნიშნულ „ა“ და „ბ“ სიებში შეთანხმების დამდებ მხარეთა ურთიერთ თანხმობით შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებანი.

შეთანხმების დამდები ორივე მხარის კომპეტენტური ორგანოები, საჭიროების შემთხვევაში, შეუფერხებლად გასცემენ საიმპორტო და საექსპორტო ლიცენზიებს იმ საქონელზე, რომელიც მოხსენებულა „ა“ და „ბ“ სიებში.

მუხლი 3

2 მუხლის დადგენილებანი არ შეეხება საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა და განის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებს დადონ ურთიერთ შორის კომერციული გარიგებანი იმ საქონლის იმპორტსა და ექსპორტზე, რომელიც შეტანილი არ არის 2 მუხლში აღნიშნულ სიებში, ამასთან დაიცვან ორივე ქვეყანაში მოქმედი წესები შემოზიდვის, გაზიდვისა და სავალუტო კონტროლის შესახებ.

ორივე მხარის კომპეტენტური ორგანოები ნამდვილ თანამშრომლობის სულისკვეთებით განიხილავენ შესაბამის მოთხოვნებს ამ მუხლით გათვალისწინებული გარიგებებით საქონლის შემოზიდვისა და გაზიდვის შესახებ.

მუხლი 4

2, და 3 მუხლებში აღნიშნული საქონლის იმპორტი და ექსპორტი განხორციელდება სსრ კავშირსა და განის რესპუბლიკაში იმპორტის, ექსპორტისა და სავალუტო კონტროლის შესახებ მოქმედი კანონებისა და წესების შესაბამისად და იმ კონტრაქტების საფუძველზე, რომლებიც იდება, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა და, მეორე მხრივ, განის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შორის.

მუხლი 5

თითოეული ქვეყნის სავაჭრო გემები ამ გემებზე მოთავსებული ტვირთით ისარგებლებენ უმეტესი მფარველობით მოსარგებლე ერის რეჟიმით ყველაფერში, რაც შეეხება გამოსაღებებს და შეღავათებს მეორე მხარის ნავსადგურებში გემების შესვლის, ნავსადგურებიდან გამოსვლისა და ნავსადგურებში ყოფნის დროს.

მუხლი 6

შეთანხმების დამდები ორივე მხარე მიიღებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ ფასები ამ შეთანხმებით მიწოდებულ საქონელზე დაწესებულ იქნას მსოფლიო ფასების ბაზაზე, ე. ი. შესაბამისი საქონლის ძირითადი ბაზრების ფასების ბაზაზე.

გადასახდელი სსრ კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის განხორციელდება სსრ კავშირში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მეშვეობით და განის რესპუბლიკაში განის ბანკის მეშვეობით.

ამ მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი, რომელიც მოქმედებს სსრ კავშირის მთავრობის სახელით, და განის ბანკი, რომელიც მოქმედებს განის რესპუბლიკის მთავრობის სახელით, გაუხსნიან ერთმანეთს საკლირინგო ანგარიშებს.

ამ ანგარიშების მიხედვით სსრ კავშირსა და განას შორის ყველა კომერციული და არაკომერციული ხასიათის გადასახდელი იწარმოებს განის გირვანქებში როგორც სსრ კავშირში, ისე განის რესპუბლიკაში არსებული კანონების, წესებისა და უცხოეთის ვალუტაზე კონტროლის წესის შესაბამისად.

განის რესპუბლიკაში მყოფ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა გადასახდელი სსრ კავშირში მყოფ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა სასარგებლოდ იმისდა მიხედვით, ანგარიშსწორების როგორი ფორმა იქნება გამოყენებული, ან ჩაირიცხება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საკლირინგო ანგარიშზე განის ბანკში, ან გაიცემა განის ბანკის საკლირინგო ანგარიშიდან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში.

სსრ კავშირში მყოფ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა გადასახდელი განის რესპუბლიკაში მყოფ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა სასარგებლოდ, იმისდა მიხედვით, ანგარიშსწორების როგორი ფორმა იქნება გამოყენებული, ან ჩაირიცხება განის ბანკის საკლირინგო ანგარიშზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში, ან გაიცემა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საკლირინგო ანგარიშიდან განის ბანკში.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და განის ბანკი არ გადაახდევინებენ ერთმანეთს ზემოაღნიშნული საკლირინგო ანგარიშების გახსნასთან ან წარმოებასთან დაკავშირებულ რაიმე გადასახადს ან გამოსაღებს.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს განის ბანკთან შეთანხმებით შეუძლია გახსნას განის კომერციულ ბანკებში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სახელზე განის ბანკში გახსნილი საკლირინგო ანგარიშის ქვეანგარიშები.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით განის ბანკს შეუძლია გახსნას სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში განის ბანკის სახელზე გახსნილი საკლირინგო ანგარიშის ქვეანგარიში.

ამ ქვეანგარიშებზე გავრცელდება ყველა წესი, რომელიც დაწესებულია საკლირინგო ანგარიშებისათვის, რომლებიც გაუხსნეს ერთმანეთს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა და განის ბანკმა.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და განის ბანკის საკლირინგო ანგარიშებზე შეიძლება გადაირიცხოს თანხები ქვეანგარიშებიდან, რომლებიც გახსნილია შესაბამისად განისა და სსრ კავშირის უფლებით აღჭურვილ ბანკებში. ანალოგიური წესით შეიძლება გადაირიცხოს თანხები ხსენებულ ქვეანგარიშებზე საკლირინგო ანგარიშებიდან და სხვა ქვეანგარიშებიდან.

მუხლი 8

თუ შეიცვალა განის რესპუბლიკის გირვანქის ოქროს ოფიციალური ცველობა, რომელიც ამჟამად გირვანქა სტერლინგის ოქროს შემცველობას უდრის, მაშინ ამ შეთანხმების 7 მუხლში აღნიშნულ ანგარიშებზე დღის ბოლოს შექმნილი სალდო, იმ დღეს, როდესაც მოხდა განის რესპუბლიკის გირვანქის ოქროს შემცველობის შეცვლა, გადაიანგარიშება ამ შეცვლის შესაბამისი პროპორციით.

მუხლი 9

კონტრაქტები, რომელთა მიხედვით ამ შეთანხმების შესაბამისად უნდა განხორციელდეს გადასახდელები, დაიდება ან განის გირვანქებში, ან მესამე ქვეყნის კონვერსირებულ ვალუტაში (კერძოდ: შვეიცარულ ფრანკებში, გირვანქა სტერლინგებში ან ამერიკის შეერთებული შტატების დოლარებში) გადასახდელით განის გირვანქებით ან სხვა კონვერსირებული ვალუტით.

ვალუტის გადაანგარიშება ამ მუხლის მიზნებისათვის იწარმოებს შესაბამისი ვალუტის ოქროს შემცველობის მიხედვით.

მუხლი 10

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და განის ბანკი დააწესებენ ანგარიშსწორებისა და ანგარიშების წარმოების ტექნიკურ წესს ამ შეთანხმების მიხედვით, კერძოდ, ამ შეთანხმების 7 მუხლში აღნიშნული ანგარიშებით გადასახდელების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად ღონისძიებათა გათვალისწინებით.

მუხლი 11

ამ შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და განის ბანკი გააგრძელებენ შესატანების მიღებას და, ამ შეთანხმების დადგენილებათა შესაბამისად, გადასახდელების წარმოებას ანგარიშების მიხედვით ყველა გარიგებით, რომელიც დადებული იქნება მისი მოქმედების პერიოდში.

ამასთან, თუ 7 მუხლში აღნიშნულ ანგარიშებზე დადგინდება ერთ-ერთი მხარის დავალიანება, მაშინ მოვალე მხარე ვალდებულია დაფაროს იგი 12 თვის განმავლობაში დღიდან ამ შეთანხმების მოქმედების დამთავრებისა მხარეთა შორის საქონლის შეთანხმებული მიწოდების გზით.

აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ ყველა მოუგვარებელი ანგარიშსწორება მოგვარდება იმ წესით, რომელზედაც შეთანხმდებიან შეთანხმების დამდები მხარეები.

მუხლი 12

იმის გამო, რომ სსრ კავშირის კანონების მიხედვით საგარეო ვაჭრობის მონოპოლია სსრ კავშირში სახელმწიფოს ეკუთვნის, განის რესპუბლიკა თანახმაა, რომ სსრ კავშირმა შექმნას განის რესპუბლიკაში თავისი სავაჭრო წარმომადგენლობა. აღნიშნული სავაჭრო წარმომადგენლობის უფლებრივ მდგომარეობას მხარეები განსაზღვრავენ ცალკეული შეთანხმებით.

შეთანხმების დამდები ორივე მხარე ყველა საშუალებით შეუწყობს ხელს სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებას თავიანთი ქვეყნების მეშვეობით, რომლითაც დაინტერესებულია ორივე ქვეყანა, იმ კანონებისა და წესების შესაბამისად, რომლებიც არსებობენ თითოეულ ქვეყანაში საქონლის ტრანზიტის შესახებ.

განის რესპუბლიკის მთავრობა ნებას აძლევს სსრ კავშირის სავაჭრო ორგანიზაციებს გამოიყენონ განის რესპუბლიკის თავისუფალი ზონები საქონლის საწყობებში დასაწყობად, გადასამუშავებლად, გასანაწილებლად და გადასატვირთად, აგრეთვე სხვა სავაჭრო მიზნებისათვის განის რესპუბლიკის იმ კანონებისა და წესების შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებენ ამ ოპერაციებს.

მუხლი 14

ორივე ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარების მიზნით, შეთანხმების დამდებ ორივე მხარეს შეუძლია თითოეულ ქვეყანაში მოაწყოს სავაჭრო ბაზრობა და გამოფენები.

ბაზრობისა და გამოფენებისათვის განკუთვნილი საგნები აგრეთვე საქონლის ნიმუშები მათი შემოზიდვის და გაზიდვის დროს გათავისუფლდებიან ბაჟისა, გადასახადისა და სხვა გამოსაღებისაგან.

მუხლი 15

შეთანხმების დამდები ერთ-ერთი მხარის წინადადებით სსრ კავშირის მთავრობა და განის რესპუბლიკის მთავრობა დანიშნავენ თავიანთ რწმუნებულებს, რომლებიც მოსკოვში ან აკრაში შეხვდებიან იმ ვადაში, რომელიც არ გადააჭარბებს 45 დღეს სათანადო წინადადების თარიღიდან.

ზემოხსენებული რწმუნებულები შეამოწმებენ ამ შეთანხმების შესრულების მიმდინარეობას და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიმუშავენ შესაბამის რეკომენდაციებს.

მუხლი 16

ამ შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ მისი დადგენილებები გამოიყენება ყველა კონტრაქტის მიმართ, რომელიც დადებული იქნება მისი მოქმედების პერიოდში და არ იქნება შესრულებული შეთანხმების ვადის გასვლის მომენტისათვის.

მუხლი 17

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ იქნება რაც შეიძლება უმოკლეს დროში და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც მოხდება აკრაში.

შეთანხმება იმოქმედებს ერთი წლის განმავლობაში და განახლება წლიდან წლამდე უსიტყვო თანხმობით, ვიდრე ერთ-ერთი მხარე არ მოახდენს დენონსირებას სათანადო წლიური პერიოდის გავლამდე სამი თვით ადრე გაფრთხილებით.

დადებულია მოსკოვში 1960 წლის 4 აგვისტოს ორ დედან ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის მთავრობის რწმუნებით
O. სემიჩასტროვი.

განის რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
D. აიე-კუმი.

* * *

რატინგირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 28 ოქტომბერს; განის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1961 წლის 15 აპრილს.

სარატინგაციო სიგელების გაცვლა მოხდა აკრაში 1961 წლის 3 ივნისს.

დანართი

1960 წლის 4 აგვისტოს სავაჭრო შეთანხმებისა სსრ კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის

ს ი ა „ა“

საქონლისა ექსპორტისათვის სსრ კავშირიდან განაში

მანქანები და მოწყობილობა

მათ შორის:

ლითონსაპირელი ჩარხები, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები, საგზაო-სამშენებლო მოწყობილობა, ენერგოძალური და ელექტროტექნიკური მოწყობილობა, სამშენებლო, პოლიგრაფიული, საბურღი და სამთო საშახტო მოწყობილობა, ხის დასამუშავებელი ჩარხები, ოპტიკა, საათები, სათადარიგო ნაწილები და ინსტრუმენტები

შავი ლითონის ნაგლინი და მისი ნაწარმი

ფერადი ლითონის ნაგლინი

კაბელის ნაწარმი

ციმენტი

ნავთობპროდუქტები

ფანჯრის მინა და კერამიკული ნაწარმი

ქაღალდი, მუყაო და მათი ნაწარმი

ქიმიური სასუქები
ქიმიური საქონელი
რეზინის ტექნიკური ნაწარმი
ავტომობილის საბურები და კამერები
ბამბეულის ქსოვილები და სხვა საფეიქრო საქონელი
გალანტერიის საქონელი
საკანცელარიო საქონელი
სასურსათო საქონელი (შაქარი, პურის ფქვილი, ბრინჯი, ნედლი და დამარილებული თევზი, კონსერვები, კარაქი, ლიქიორ-არყის ნაწარმი და სხვ.).
სარეცხი და ხელის საპონი
მედიკამენტები და სამედიცინო მოწყობილობა
ასანთი
თამბაქო და თამბაქოს ნაწარმი
ფაიფურის და ქაშანურის ჭურჭელი
კინოფილმები და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებები

0. ს.
(0. სემიჩასტნოვი)

მ. ა. ბ.
(მ. აივა-კუში)

დანართი

1960 წლის 4 აგვისტოს სავაჭრო შეთანხმებისა სსრ კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის

ს ი ა „ბ“

საქონლისა ექსპორტისათვის განიდან სსრ კავშირში

კაკაოს მარცვალი
ყავა
კობრა და ქოქოსი
ბანანი
ანანასი
ციტრუსოვანი
ხილეულის წვენი
ზეთოვანი კულტურების თესლი
პალმის ზეთი
კოლას კაკალი
ტყავის ნედლეული
კაუჩუკი
გუმიარაბიკი
ძვირფასი ჯიშების მერქანი და ფანერა



ი. ს.
(ი. სამინისტრო)

პ. ა. კ.
(პ. აიპ-კაში)

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

276 თევზჭერის თაობაზე საბჭოთა კავშირ-ინგლისის შეთანხმების დენონსირების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დენონსირებისათვის წარმოდგენილი შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს მთავრობას შორის თევზჭერის შესახებ, ხელმოწერილი მოსკოვში 1956 წლის 25 მაისს და რატიფიცირებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1956 წლის 31 აგვისტოს, დენონსირებულ იქნას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 2 მარტი.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

277 „კიევის დაცვისათვის“ მედლის დაწესების შესახებ

1. გმირი ქალაქის კიევის გმირული დაცვის მონაწილეთა დასაჯილდოებლად დაწესდეს მედალი „კიევის დაცვისათვის“.
2. დამტკიცდეს დებულება მედლისა „კიევის დაცვისათვის“.
3. დამტკიცდეს აღწერილობა მედლისა „კიევის დაცვისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 21 ივნისი.

დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

278 რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სა- მოკმელოდ შემოღებასთან დაკავშირებით პატიმრობის აღგი- ლეზუი რაჟივის ბოროტ დამარჯვებთა მიმართ სასჯელის ზომების შემსუბუქების არგამოყენების შესახებ

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ნება მიეცეს რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მინიჭოს სასამართლოებს უფლება რუსეთის სფს რესპუბლიკის 1960 წლის 12 თებერვლის ოქტომბრის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით არ გამოიყენონ სასჯელის ზომების შემსუბუქება იმ პირთა მიმართ, რომელთაც თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი და რომელნიც სასჯელის მოხდის პერიოდში არ დაადგენენ გამოსწორების გზას — ბოროტად არღვევენ რეჟიმს ან სისტემატურად არიდებენ თავს სამუშაოს, ან ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, თუ განაჩენები ამ პირთა მიმართ ძალაში შევიდა 1961 წლის 1 იანვრამდე, ე. ი. რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 21 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

279 სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 28 მუხლში დამატების შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნას დამატება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების 28 მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 28. წინასწარი გამოძიების ორგანოები

სისხლის სამართლის საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკუტორატურის გამოძიებლები, ხოლო იმ დანაშაულთა საქმეებისას, რომლებიც გათვალისწინებულია სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონის მუხლებით: 1 (სამშობლოს დაღვაწი), 2 (ჯაშუშობა), 3 (ტერორისტული აქტი), 4 (ტერორისტული აქტი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ), 5 (დივერსია), 6 (მავნებლობა), 7 (ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა), 9 (ორგანიზაციული საქმიანობა, რომელიც მიმართულია განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩასადენად, აგრეთვე ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობა), 10 (განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ჩადენილია მშრომელთა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ), 12 (სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება), 13 (სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა), 15 (კონტრაბანდა), 16 (მასობრივი არეულობა), 20 (უკანონო წასვლა საზღვარგარეთ და უკანონო შემოსვლა სსრ კავშირში), 21 (საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა), 25 (სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა), 26 (იმ ნაწილში, რომელიც ეხება 1—6 და 9 მუხლებით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულთა განუცხადებლობას), 27 (იმ ნაწილში, რომელიც ეხება 1—6, 9, 15 და 25 მუხლებით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულთა დაფარვას) და სამხედრო დანა-



შაულსათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონის 23 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით (სამხედრო საიდუმლოების გახმაურება ან საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა), აგრეთვე სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა გამოძიებლები.

წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულოა სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულთა საქმეებზე, აგრეთვე სხვა დანაშაულობებზე, რომელთა ნუსხა დადგინდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 21 ივნისი.

ბანუოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

280 სკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ორგზის სოციალისტური შრომის გმირის ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** ლენინის ორდენითა და „ნამგალი და უროს“ მესამე ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ

თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად, რაც სკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვს** მიუძღვის რაკეტული მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის შექმნისა და განვითარების ხელმძღვანელობასა და იმაში, რომ წარმატებით განხორციელდა საბჭოთა ადამიანის მსოფლიოში პირველი კოსმოსური გაფრენა თანამგზავრ სომალდ „აღმოსავლეთით“, რითაც ახალი ერა დაიწყო კოსმოსის ათვისებაში, დაჯილდოვდეს ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი** ლენინის ორდენით და „ნამგალი და უროს“ მესამე ოქროს მედლით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 17 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

281 ქალაქ კიევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

1941 წლის ივლის-სექტემბერში საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის დაცვის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქალაქ კიევის მშრომელთა მიერ გამოჩენილი გმირობისათვის გმირი ქალაქი კიევი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 21 ივნისი.



282 აკადემიკოს ა. მ. დეგორინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მრავალი წლის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადებას ოთხმოცი წლისთავთან დაკავშირებით აკადემიკოსი აბრამ მოსეს ძე დებორინი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 21 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

283 ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის პ. ა. როტმისტროვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი პავლე ალექსის ძე როტმისტროვი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 22 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

284 ინჟინერ-კაპიტან-ლეიტენანტი ვ. ა. ლომაკინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის დეველების შესრულების დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის ინჟინერ-კაპიტან-ლეიტენანტი ვიქტორ ალექსანდრეს ძე ლომაკინი დაჯილდოებულ იქნას წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 23 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

285 საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედალებით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის დეველების სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:



1. უფროსი ლეიტენანტი იანის იოჰანის ძე ანდრეინი.
2. უფროსი ლეიტენანტი ალექსი ფედოტის ძე ვლასენკო.
3. ლეიტენანტი ვიქტორ ანდრეას ძე კრავცოვი.
4. უფროსი სერჟანტი ალექსანდრე მიხეილის ძე სუჩილოვი.

მეორით „ამაგობისათვის“

1. ევრეიტორი ალექსანდრე იაგორის ძე გაპონენკო.
2. ევრეიტორი ედუარდ ივანეს ძე ხორიშკო.

მეორით „საბრძოლო დამსახურებისათვის“

ზემდეგი ბორის სიმონის ძე ბუდორაინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 23 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

286 სკულპტორ ი. ი. მიკანასისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახვითი ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდება სკულპტორ იუოზას იოკუბის ძე მიკანასს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 24 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

287 საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედალებით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. კაპიტანი ანდრეა თევდორეს ძე აფანასენკო.
2. უფროსი ლეიტენანტი ივანე ილიას ძე ვოიცეშკო.

მედიტ „მამაცობისათვის“



სერჟანტი იური ნიკოლოზის ძე დანილოვი.

მედიტ „საბრძოლო და მსახურებისათვის“

რიგითი ვიქტორ ექვთიმეს ძე ბელენკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 24 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

288 საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორ-
დენითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ
იქნან:

წითელი ვარსკვლავის ორდენით

კაპიტანი ვლადიმერ დიმიტრის ძე ლიუინი.

მედიტ „მამაცობისათვის“

1. უმცროსი სერჟანტი ანტანას ლუკაშევიჩუხი.
2. რიგითი კენო პაულის ძე ტსიანკი.

მედიტ „საბრძოლო და მსახურებისათვის“

კაპიტანი ალექსანდრე ანდრიას ძე ხოხლოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 24 ივნისი.

ბანუოფილება მისამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

დიდი წარმატებებისათვის, რაც მიღწეულია რაკეტული მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით“ საბჭოთა ადამიანის მსოფლიოში პირველი გაფრენის წარმატებით განხორციელებისათვის კოსმოსურ სივრცეში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა „ნამგალი და უროს“ მეორე ოქროს მედლით დაჯილდოვა 7 თვალსაჩინო მეცნიერი და კონსტრუქტორი — სოციალისტური შრომის გმირები, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა 95 წამყვან კონსტრუქტორს, ხელ-



მძღვანელ მუშაკს, მეცნიერსა და მუშას, სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 6.910 მუშა, კონსტრუქტორი, მეცნიერი, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, აგრეთვე სსრ კავშირის ორდენებით დააჯილდოვა მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო ბიუროები და ქარხნები.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 476 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 1.225, წითელი ვარსკვლავის ორდენით — 254, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 1.790 და მედლებით — 3.165 კაცი.

* * *

ანტარქტიდის მეცნიერული გამოკვლევის საქმეში დამსახურებისა და ამასთან მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 23 ივნისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ანტარქტიდის 250 მკვლევარი — საბჭოთა კავშირის კომპლექსური ანტარქტიკული ექსპედიციების მონაწილენი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: სატრანსპორტო რაზმის მექანიკოსი — მძღოლი ი. ბ. აბუშაევი, სადგურ სოვეტსკაიას უფროსი ვ. კ. ბაბარკინი, პირველი კომპლექსური ანტარქტიკული ექსპედიციის სადგურ პიონერსკაიას უფროსი ა. მ. ვუსევი, მეოთხე კომპლექსური ანტარქტიკული ექსპედიციის უფროსი ა. გ. დრალკინი, პირველი და მესამე საზღვაო ანტარქტიკული ექსპედიციების უფროსი ვ. გ. კორტი, უფროსი რადიოტექნიკოსი მ. მ. ლიუბარეცი, მეორე კომპლექსური ანტარქტიკული ექსპედიციის ავიარაზმის მეთაური პ. პ. მოსკალენკო, მესამე კომპლექსური ანტარქტიკული ექსპედიციის სატრანსპორტო რაზმის უფროსი ა. თ. ნიკოლაევი, მეოთხე კომპლექსური ანტარქტიკული ექსპედიციის ავიარაზმის მეთაური ბ. ს. ოსიპოვი, პირველი კომპლექსური ანტარქტიკული ექსპედიციის უფროსი მ. მ. სომოვი, მესამე კომპლექსური ანტარქტიკული ექსპედიციის უფროსი ე. ი. ტოლსტიკოვი და მეორე კომპლექსური ანტარქტიკული ექსპედიციის უფროსი ა. თ. ტრენიკოვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 25 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 75, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 70 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 68 კაცი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევის რეზიუმის სიგელზე გადასცა ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სუბიმალ დატი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ა/წ 20 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კრემლში ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სუბიმალ დატი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ საელჩოს მრჩეველი ს. რ. ტ. თხანი, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ატაშე კ. მ. ს. ბუტალია, სამხედრო-საჰაერო ატაშე ა. ლოდზი, პირველი

მდივანი ა. გონსალევისი, პირველი სავაჭრო მდივანი პ. ვაილიანთხანი, მეხამე მდივანი შ. ვ. პურუშოტამი.



რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებების გამგეები ვ. ი. ლიხაჩევი, თ. თ. მოლოჩკოვი და სხვა.

ლ. ი. ბრეჟნევი და სუბიმალ დატმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და ურთიერთ სიტყვებით მიმართვის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევს ს. დატთან ჰქონდა საუბარი, რომელმაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს ესწრებოდნენ მ. პ. გიორგაძე და ნ. პ. ფირიუბინი.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

289 სახალხო მსაჯულების, საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და საზოგადოებრივი დამცველების სასამართლოში მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის შესახებ

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის 15, 19 და 28 მუხლების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სახალხო მსაჯულებს, საზოგადოებრივ ბრალმდებლებსა და საზოგადოებრივ დამცველებს, რომლებიც არ არიან მუშები და მოსამსახურეები, სასამართლოში მოვალეობის შესრულებისათვის მიეცეთ თითოეულ სამუშაო დღეში 1 მანეთი.

2. სახალხო მსაჯულებს, რომლებსაც საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის 28 მუხლის შესაბამისად დაეკისრებათ სახალხო მოსამართლის მოვალეობის აღსრულება და რომელთა შრომის ხელფასი ნაკლებია რაიონის (ქალაქის) სახალხო მოსამართლის შრომის ხელფასზე, მიეცემათ სხვაობა მათ ძირითად ხელფასსა და სახალხო მოსამართლისათვის დაწესებულ ხელფასს შორის.

3. სახალხო მსაჯულებს, რომლებიც არ არიან მუშები და მოსამსახურეები, სახალხო მოსამართლის მოვალეობის აღსრულებისას მიეცემათ შრომის ხელ-

ფასი რაიონის (ქალაქის) სახალხო მოსამართლისათვის დაწესებული თანამდებობრივი განაკვეთით.

4. სახალხო მსაჯულებს, საზოგადოებრივ ბრალმძებლებსა და საზოგადოებრივ დამცველებს მუშა-მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომელთაც სასამართლოში მოვალეობის შესრულება მოუხდებათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან დაშორებით, აუნაზღაურდებათ დღიური, ბინისა და მგზავრობის ხარჯები სამსახურებრივ მივლინებათა ანაზღაურების მოქმედი წესის ნორმების შესაბამისად.

5. სახალხო მსაჯულებს, საზოგადოებრივ ბრალმძებლებსა და საზოგადოებრივ დამცველებს არა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომელთაც სასამართლოში მოვალეობის შესრულება მოუხდებათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან დაშორებით, აუნაზღაურდეთ დღიური ერთი მანეთი და 50 კაპიკი თითოეულ დღეში, ხოლო ბინისა და მგზავრობის ხარჯები სამსახურებრივ მივლინებათა ანაზღაურების მოქმედი წესის ნორმების შესაბამისად.

შენიშვნა: ისეთ ადგილებში, საიდანაც მიმოსვლის პირობებისა და შესრულებული სამუშაოს ხასიათის მიხედვით სახალხო მსაჯულებს, საზოგადოებრივ დამცველებსა და საზოგადოებრივ ბრალმძებლებს საშუალება ექნებათ ყოველდღიურად დაბრუნდნენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, დღიურები არ აუნაზღაურდებათ.

6. სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან სასამართლოში მოვალეობის შესასრულებლად გამოწვეულ სახალხო მსაჯულების, საზოგადოებრივ ბრალმძებლებისა და საზოგადოებრივი დამცველების კუთვნილ დღიურებს, მგზავრობისა და ბინის ხარჯებს სასამართლო აუნაზღაურებს შესაბამის სამხედრო ნაწილს, წარმოდგენილი ანგარიშისა და იმ ნორმების მიხედვით, რომელიც დაწესებულია დებულებით „საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეების ფულადი უზრუნველყოფის შესახებ“.

7. სახალხო მსაჯულებს, საზოგადოებრივ ბრალმძებლებსა და საზოგადოებრივ დამცველებს ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ხარჯებს აუნაზღაურებს შესაბამისი სასამართლო ამ საქიროებისათვის ასიგნებული თანხებიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ქოჩინიძე**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიანოვი**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 28 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

290 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 ივნისის დადგენილების შესახებ „იმ დონისძიებათა თაობაზე, რაც დაკავშირებულია მოლდავეთის სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 ივნისის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:



დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს უზრუნველყოს აუცილებელი მონაცემების წარდგენა განაჩენის გამომტან სასამართლოებისათვის იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან მოლდავეთის სსრ ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულისათვის და სასჯელს იხდიან საქართველოს სს რესპუბლიკაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **წ. გელღიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 28 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

291 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 ივნისის დადგენილების შესახებ „იმ ღონისძიებათა თაობაზე, რაც დაკავშირებულია სომხეთის სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამომავლოდ შემოღებასთან“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 ივნისის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს უზრუნველყოს აუცილებელი მონაცემების წარდგენა განაჩენის გამომტან სასამართლოებისათვის იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან სომხეთის სსრ ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის და სასჯელს იხდიან საქართველოს სს რესპუბლიკაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **წ. გელღიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 28 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

292 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონის სოფლების თხელას და სინთბადანის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:
დამტკიცდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება და მოსახლეობის სხვა სოფლებში ჩასახლების გამო გაუქმდეს ჯავის რაიონის ქემელთის სასოფლო საბჭოს სოფელი თხელა და კიროვის სასოფლო საბჭოს სოფელი სინთბადანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **წ. გელღიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 28 ივნისი.



293 ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ისლარის ორჯონიკიძის საბჭოს
გზო საბაჟოსათვის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
გამოეყოს ორჯონიკიძის რაიონის ფარცხნალის სასოფლო საბჭოს სოფელი
ისლარი და მიეკუთვნოს ორჯონიკიძის სადაბო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 28 ივნისი.

294 გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუშენის ახაშენის სასოფლო საბ-
ჭოსათვის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
გამოეყოს გურჯაანის რაიონის ველისციხის სასოფლო საბჭოს სოფელი
მუკუშენი და მიეკუთვნოს ახაშენის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 28 ივნისი.

295 ქარელის რაიონის ზოგინართი სასოფლო საბჭოს აღმინისტრა-
ციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გამოეყოს ავლევის სასოფლო საბჭოს სოფელი თამარაშენი და მიეკუთვნოს აბისის სასოფლო საბჭოს.
2. გამოეყოს ქარელის სასოფლო საბჭოს სოფლები: ქვემოსხედურეთი და ქვენაფლავი და მიეკუთვნონ ზემო ხვედურეთის სასოფლო საბჭოს.
3. გაუქმდეს სოფელი რცხილის წყარო მოსახლეობის სოფელ ჭანდრებში ჩასახლების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 28 ივნისი.



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

296 მედლით „წყალწადებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწადებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მედლით „წყალწადებულთა გადარჩენისათვის“ კაპანაძე როლერი გიორგის ძე — თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიანოვი**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 28 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და **297** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

(გაგრძელება)

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაკები:

1. გიორგი გრიგოლის ძე აბაშიძე — თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პროფესორი
2. ლევან ნესტორის ძე აბაშიძე — ახალციხის რაიონის მთავარი ექიმი
3. ქაიხოსრო რიზას ძე აბაშიძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს განყოფილების გამგე
4. ლევან ვასილის ძე ავალიანი — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტი
5. ლევონ ისაკის ძე ავშაროვი — კვების რესპუბლიკური სამეცნიერო საკვლევი ლაბორატორიის განყოფილების გამგე
6. ლოლა ერასტის ასული აღავიძე — გურჯაანის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილე
7. ნინო ალექსანდრეს ასული ანდრონიკაშვილი — კურორტ ბორჯომის სანატორიუმ „ფირუზას“ ექიმი
8. ლევან ივლიანეს ძე ანჯაფარიძე — თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგე
9. ვეგენია ივანეს ასული ასათიანი — თბილისის № 1 სამედიცინო სასწავლებლის მასწავლებელი
10. ვახტანგ ანტონის ძე ასლანიშვილი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის უფროსი ინსპექტორი
11. თამარ იაკობის ასული აღნიაშვილი — თბილისის მე-9 პოლიკლინიკის ექთან



12. სურგი შაინის ასული აშამბა — ქედის საავადმყოფოს ექთანი
13. ნინო ვასილის ასული ახოზაძე — ქობულეთის საავადმყოფოს ექთანი
14. ვახტანგ ალექსანდრეს ძე ბაღაშვილი — რესპუბლიკის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი
15. ანდრო ალექსანდრეს ძე ბალუაშვილი — თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დოცენტი
16. მარგალიტა ვასილის ასული ბარნოვა — სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი
17. მურთაზ ისლამის ძე ბასილაძე — ქედის საავადმყოფოს დეზინფექტორი
18. ვლადიმერ დიმიტრის ძე ბახტაძე — ასპინძის რაიონის ეპიდემიოლოგი
19. თამარ ალექსის ასული ბახტაძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმი
20. გიორგი რაფიელის ძე ბეგიშვილი — თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ასისტენტი
21. ტატიანა სიმონის ასული ბელოზიოროვა — წყალტუბოს საკურორტო პოლიკლინიკის დიასახლისი
22. თომა ივანეს ძე ბერეკაშვილი — ექიმი, თბილისის კბილის სატექნიკო სასწავლებლის მასწავლებელი
23. ნიკოლოზ სპირიდონის ძე ბერელიძე — თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მთავარი ბუღალტერი
24. დარია ივანეს ასული ბერეუიანი — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე
25. ელისაბედ დავითის ასული ბერიშვილი — თბილისის № 2 სამშობიარო სახლის ექიმი
26. ალიმირზა მუსტაფის ძე ბოლქვაძე — ხულოს რაიონის მთავარი ექიმი
27. გივი გიორგის ძე ბოლქვაძე — რესპუბლიკური კარდიორევმატოლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი
28. ნადეჟდა ივანეს ასული ბონდარენკო — კურორტ გულაუთის სანატორიუმ „ვოლგას“ მეშხაფე
29. კარლო ვარლამის ძე ბორჯაძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს უფროსი
30. სოფიო ტარასის ასული ბურდული — ღუშეთის რაიონის ს. მღეთის ამბულატორიის გამგე
31. პეტრე ვლადიმერის ძე ბურჭულაძე — თბილისის ინფექციური საავადმყოფოს განყოფილების გამგე
32. ეთერ ვასილის ასული ბურჯანაძე — სიღნაღის რაიონის ს. ნუკრიანის საუბნო საექიმო პუნქტის გამგე
33. მარიამ ბესარიონის ასული გაბუნია — თბილისის მე-15 პოლიკლინიკის კაბინეტის გამგე
34. ისიდორე მოსეს ძე გაგუა — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე

- 35. კონდრატი სოლომონის ძე **გაგუა** — გეგეჭკორის საავადმყოფოს განყოფილების გამგე
- 36. ალექსანდრა სიმონის ასული **გაგულია** — გუდაუთის რკინიგზის საავადმყოფოს ექთან
- 37. ნიკოლოზ დავითის ძე **განუგრავა** — ყვარლის რაიონის ს. ახალსოფლის საუბნო საავადმყოფოს გამგე
- 38. აკაკი ტარიელის ძე **გვაზავა** — სამედიცინო სანიტარული ნაწილის უფროსი
- 39. ეთერი დიმიტრის ასული **გვანცელაძე** — თბილისის № 3 სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი
- 40. ვახტანგ იონას ძე **გვარამია** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განყოფილების უფროსი
- 41. ვალერიან ლავრენტის ძე **გვალია** — აფხაზეთის ასსრ სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი
- 42. გიორგი პარმენის ძე **გვენეტაძე** — თბილისის № 2 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე
- 43. რამაზ რაყდენის ძე **გვეტაძე** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს უფროსი
- 44. თამარ სოლომონის ასული **გეგელაშვილი** — თბილისის № 1 საავადმყოფოს კაბინეტის გამგე
- 45. ბარბაღე გაბრიელის ასული **გელაშვილი** — თბილისის № 2 სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი
- 46. ეკატერინე ერმალოვის ასული **გელაშვილი** — ბორჯომის სანატორიუმში „მთის ხეობის“ უფროსი ექთან
- 47. პროკოფი ბესარიონის ძე **გელეიშვილი** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი
- 48. თამარ ვლადიმერის ასული **გელოვანი** — თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ექთან
- 49. შუშანა ირაკლის ასული **გელოვანი** — ხულოს საავადმყოფოს ექთან
- 50. ლუბა სევერიანეს ასული **გელოვანიძე** — კურორტ გაგარის სანატორიუმში „ჩელუსკინელების“ ექთან
- 51. ელენე ივანეს ასული **გერი** — პედიატრიის რესპუბლიკური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის განყოფილების გამგე
- 52. მიხეილ გიორგის ძე **გიგოლოვი** — თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დოცენტი
- 53. ნიკოლოზ სელევკის ძე **გიორგაძე** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უფროსი ინსპექტორი
- 54. ნიკოლოზ ასლანის ძე **გიორგობიანი** — წყალტუბოს საკურორტო სამმართველოს უფროსი ფერწალი
- 55. იასონ სარდიონის ძე **გოგავა** — მწვანე კონცხის სანატორიუმში „აჭარის“ მთავარი ექიმი
- 56. ვახტანგ გიორგის ძე **გოგიბედაშვილი** — კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის რესპუბლიკური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი

57. მარიამ დიმიტრის ასული გოგილაშვილი — წითელწყაროს პოლიკლინიკის ექიმი
58. დუშა პორფილეს ასული გოგიჩაიშვილი — აჭარის ასს რესპუბლიკური საავადმყოფოს ექთანია
59. დიმიტრი გიორგის ძე გოგიძე — თბილისის კბილის სატექნიკო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე
60. გრიგოლ ილიას ძე გოლაშვილი — თბილისის მე-18 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი
61. მიხეილ ისაკის ძე გოლიჯაშვილი — ჯავის რაიონის მთავარი ექიმი
62. ქეთევან ალექსანდრეს ასული გომართელი — საჩხერის რაიონის ს. გორისის საექიმო უბნის მებან-ექთანია
63. ლევან ზაქარაის ძე გომელაური — სანიტარიისა და ჰიგიენის რესპუბლიკური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორია
64. შოთა გიორგის ძე გორდენიანი — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორია
65. ჭიჭიკო ვასილის ძე გოროზიანი — თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ასისტენტი
66. შოთა ვასილის ძე გოჩიაშვილი — დუშეთის რაიონის ს. ოძისის საფერწლო პუნქტის გამგე
67. ვლადიმერ ვლადიმერის ძე გურგენიძე — კურორტ აბასთუმნის სანატორიუმში „არაზინდოს“ მთავარი ექიმი
68. შოთა პავლეს ძე გურგენიძე — ამბროლაურის რაიონის ს. ბუგეულის საუბნო საავადმყოფოს გამგე
69. რუბენ გრიგოლის ძე დავიძოვი — თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს უფროსის მოადგილე
70. შოთა ბათლომეს ძე დანელია — ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე
71. მამია ილიას ძე დგებუაძე — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარულ ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტის დეკანი
72. ლევან სიმონის ძე დევდარიანი — ორჯონიკიძის რაიონის მთავარი ექიმი
73. თამარ ივანეს ასული დევანოსიძე — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტი
74. ნინო გიორგის ასული დემეტრაძე-ცუცქირიძე — თბილისის № 1 საავადმყოფოს ექიმი
75. ნაზი მამბრეს ასული დიათიანი — წითელი ჯვრის საზოგადოების ახალქალაქის რაიკომის თავმჯდომარე
76. გიორგი გიორგის ძე დოლიძე — მცხეთის საავადმყოფოს ექიმი
77. ნინო ისაკის ასული დუბროვა — ვანის რაიონის მთავარი პედიატრი

78. დინა ნიკოლოზის ასული დუდნიოვა — კურორტ ახალი ათონის სანატორიუმ „აფხაზეთი-ს“ სანიტარი
79. შოთა ვასილის ძე ეგნატაშვილი — სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი
80. ლინა იოსების ასული ერისთავი — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტი
81. არჩილ არჩილის ძე ზაალიშვილი — თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დოცენტი
82. ოთარ გიორგის ძე ზუმბულიძე — თბილისის მე-4 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარი ექიმი
83. ანისია მიხეილის ასული თათაროვა — წალკის საავადმყოფოს ლაბორატორიის გამგე
84. გვი ვიორგის ძე თვალთვაძე — კურორტოლოგიის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის მთავარი ექიმი
85. სესილა სიმონის ასული თვარაძე — სამოქალაქო საავიაციო ფლოტის საქართველოს ტერიტორიული სამმართველოს ექთანი
86. მიხეილ პავლეს ძე თვაური — ამიერკავკასიის სამხედრო ოქქის ბორჯომის სანატორიუმის სამედიცინო ნაწილის უფროსი
87. ვლადიმერ კონსტანტინეს ძე თოდრია — თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის ავტომანქანის მძღოლი
88. ირაკლი ივანეს ძე თოფურია — სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი
89. შალვა რუბენის ძე თოფურია — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი
90. ივანე გიორგის ძე თოფურიძე — მთავარი სააფთიაქო სამმართველოს მე-9 მაღაზიის გამგე
91. ნინო ივანეს ასული თურქესტანიშვილი — ტუბერკულოზის საწინააღმდეგო რესპუბლიკური დისპანსერის კაბინეტის გამგე
92. ვალენტინ დავითის ძე იაშვილი — თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის ავტომანქანის მძღოლი
93. თამარ ილარიონის ასული ივანიძე — თბილისის მე-16 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე
94. ვიორგი ზაქარაის ძე ინასარიძე — რესპუბლიკის სამეცნიერო საკვლევი ტუბერკულოზური ინსტიტუტის განყოფილების გამგე
95. მარგალიტა გრიგოლის ასული იოსელიანი — წყალტუბოს საკურორტო პოლიკლინიკის უფროსი ექთანი
96. ალექსანდრე ივანეს ძე ისაგულაოვი — თბილისის № 34 აფთიაქის მმართველი
97. პავლე ტერენტის ძე კაბილიანსკი — რკინიგზის სოხუმის № 1 სანეპიდსადგურის დეზინფექტორი
98. გრიგოლ კავდინის ძე კაბისოვი — სამხრეთ ოსეთის საოლქო საავადმყოფოს მთავარი ექიმი

99. თეო ვიქტორის ასული კალანდაძე — ლავოდების რაიონის ს. საუბნო საავადმყოფოს გამგე
100. არტემონ აბრამის ძე კალანდია — რესპუბლიკური სამეცნიერო-საკვლევე სანიტარულ-ქიმიური ლაბორატორიის ქიმიკოსი
101. ანა თომას ასული კარდაშოვა — ჰოსპიტლის უფროსი ექთანი
102. ანა გალაქტიონის ასული კასრაძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინსპექტორი
103. შალვა ვიქტორის ძე კახიანი — თბილისის ჯანგანყოფილების გამგის მოადგილე
104. პაშა ნიკოლოზის ასული კვანტალიანი — რკინიგზის სამტრედიის საავადმყოფოს ექთანი
105. ვარლამ ანდრიას ძე კვარაცხელია — წალენჯიხის რაიონის მთავარი ექიმი
106. ქაიხოსრო შალვას ძე კვინიხიძე — ტყიბულის რაიონის მთავარი ექიმი
107. ალექსანდრა თედორეს ასული კვირკველია — ქობულეთის რაიონის ს. ქაქუთის საექიმო უბნის გამგე
108. კორნელი ისაკის ძე კეკელიძე — კასპის რაიონის მთავარი ექიმი
109. ილარიონ იორდანეს ძე კიკვაძე — რკინიგზის თბილისის ბავშვთა კონსულტაციის უფროსი ექიმი
110. თამარ დავითის ასული კობახიძე — თბილისის მე-9 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი
111. შუშანა მარკოზის ასული კომახიძე — ლანჩხუთის რაიონის ს. ჯურჯუყეთის საუბნო საავადმყოფოს გამგე
112. ელენე პეტრეს ასული კონდრატენკო — კურორტ გაგრის სტალინის სახელობის დასასვენებელი სახლის ექთანი
113. ბესარიონ იოსების ძე კონტრიძე — თბილისის ჯანგანყოფილების სექტორის უფროსი
114. ადვიე იზოტის ასული კონცელიძე — კურორტ მწვანე კონცხის სანატორიუმ „აჭარის“ უფროსი ექთანი
115. რევან სიმონის ძე კოპალეიშვილი — მახარაძის რაიონის მთავარი ექიმი
116. ანა სარდენის ასული კოჩიევა — წითელი ჯვრის საზოგადოების სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
117. ევდოკია ივანეს ასული კუზნეცოვა — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ბორჯომის სანატორიუმის შეფ-მზარეული
118. ვასილ გიორგის ძე კუჩუღია — თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგე
119. რუფინა ევგენის ასული კუჩერიავიჩენკო — კურორტ გაგრის სანატორიუმ „რიწას“ ექთანი

120. გრიგოლ ისაკის ძე **ლესინი** — მიერკავკასიის სამხედრო ოლქის პორუკომის სანატორიუმის უფროსი

121. ლევ ნაუმის ძე **ლივზიცი** — ჰოსპიტლის განყოფილების უფროსი

122. ეთერი ზაბულონის ასული **ლომინაძე** — წითელი ჯვრის საზოგადოების საქართველოს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

123. ვარლამ ნიკოლოზის ძე **შაკარიძე** — თერჯოლის საავადმყოფოს განყოფილების გამგე

124. ვასილ ივანეს ძე **მარდაღიშვილი** — ხობის რაიონის ეპიდემიოლოგი

125. ანტონ იოსების ძე **მარცინიაკი** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განყოფილების უფროსი ინსპექტორი

126. სერგი ლუკას ძე **მატკოვსკი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კურორტ გაგრის სანატორიუმის განყოფილების უფროსი

